კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2015 წლის 9 თვის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიშს და შევეხებით იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც უშუალოდ ხორციელდება ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება.

წელს ჩვენს სამსახურში სპორტული ღონისძიებებისათვის გამოყოფილია 10 000 ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის 20 000 ლარი.

სპორტული დარბაზის მწყობრში ჩადგომის შემდეგ საშუალება გვეძლევა ფართოდ გავშალოთ სპორტული მუშაობა და სპორტულ-ახალგაზრდული ღონისძიებები ჩავატაროთ არა მარტო ზაფხულში, არამედ წელიწადის სხვადასხვა დროს.

უკვე ერთ წელზე მეტია, ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ტარდება სპორტულ-გასართობი თამაში ,,მხიარული სტარტები", რომელიც გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური თამაში. მასში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 21 საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლე. სპორტული შეხვედრები მიმდინარეობდა ერთი თვის განმავლობაში. სულ ჩატარდა 22 შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 3000-მდე მაყურებელი. სექტემბერში ,,მხიარული სტარტები" ჩატარდა ორგანიზაციებს შორის. ახლო მომავალში თამაშის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ჩატარება იგეგმება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მომავლისათვის საჭირო იქნება ,,მხიარული სტარტებისათვის" ინვენტარის განახლება.

წელს, ჩატარდა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი ორაგნიზაციებსა და ადმინისტარციულ ერთეულებს (უბნებს)შორის, მონაწილეობა მიიღი 10 გუნდმა. ჩატარდა 16 სპორტული შეხვედრა, კალათბურთის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5 გუნდმა. ასევე, ჩატარდა ჩემპიონატი სამაგიდო თამაშებში დაბაში. ჩვენი თანაორგანიზებით სპორტსკოლასთან ერთად მაგიდის ჩოგბურთი და მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში. აღინიშნა ველოსიპედის საერთაშორისო დღე, მონაწილეობა მივიღეთ მარათონში ,,ვირბინოთ მსოფლიოსთან ერთად". მონაწილეობა მივიღეთ ვახანში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულში, ასევე სოფელ ხევში მძლეოსნობის ტურნირში, სოფელ ბორითში მინი ფეხბურთის ჩემპიონატში, რომელიც გაიმართა ორჯერ სხვადასხვა ასაკობრივ

გუნდებში და კალათბურთისა და ფრენბურთის ჩემპიონატებში გოგონებსა და ვაჟებს შორის.

წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ოლიმპიურ ცეცხლს. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

სამსახურის უშუალო ხელშეწყობით და დაფინანსებით ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება: ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაციხეში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები ბორითის სკოლის მონაწილეობით, ,,თავგადასავლთა მაძიებლები“, ქუჩის კალათბურთის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის, შალვა შარიქაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში, ფრენბურთის ტურნირი ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.

აპრილის თვეში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში ,,რა?სად?როდის?“ ადმინისტარციულ ერთეულებს შორის. ტრადიციულად აღინიშნა ინტელექტის დღე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლის 114 მოსწავლემ.

გაზაფხულზე ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ხარაგაულში ჩატარდა პროექტ ,,იმერეთის ხმის“ შესარჩევი ტური. აღნიშნულ ტურში მონაწილეობა მიიღო 35 კონკურსანტმა. დასკვნითი ტური გაიმართა ქ. ქუთაისში, სადაც გაიმარჯვა და ტიტული ,,იმერეთის ხმა“ მოიპოვა სალომე კვირიკაშვილმა.

სამსახურის ორგანიზებით აღინიშნა წლის განმავლობაში ყველა მნიშვნელოვანი თარიღი:

3 იანვარს - საახალწლო კონცერტი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით.

7 იანვარი - მონაწილეობა მივიღეთ საშობაო ალილოში.

14 იანვარს - აღინიშნა ქართული თეატრის დღე.

3-8 მარტს - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტები, ასევე ჩატარდა შეხვდრა სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ქალბატონებთან ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში.

აღინიშნა 9 აპრილის ტრაგედია.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების 75 წლის იუბილე, საზეიმო შეხვედრა ომის ვეტერანებთან. კინოთეატრში ნაჩვენები იქნა ქართული მხატვრული ფილმი ,,ჯარისკაცის მამა“.

26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრმა მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი სპექტაკლით.

1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა საბავშვო ღონისძიებების კვირეულით. ასევე, 1 ივნისს, სოფელ ღორეშას იუსტიციის სახლში მინისტრმა, თეა წულუკიანმა შეხვედრა მოუწყო იმერეთის რეგიონის ახალგაზრდებს, წაიკითხა ლექცია ,, ბავშვთა უფლებების შესახებ“. ნაჩვენები იქნა რეზო თაბუკაშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“

2 მაისს - მონაწილეობა მივიღეთ ქუთაისობის ტრადიციულ დღესასწაულში.

წელს, მაისის თვეში, ვუმასპინძლეთ საპატრიარქოს ეგიდით გამართულ ფესტივალს ,,აღდგომიდან ამაღლებამდე“. აღნიშნული კონცერტი გაიმართა ღია ესტრადაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის მერიის ,,ბიგ-ბენდი“, ანსამბლი ,,გორდელა“ და ინდივიდუალური შემსრულებლები.

კულტურის ცენტრში ჩატარდა თამაზ კიკნაძის ხსოვნის საღამო. ნაჩვენები იქნა ქართული მხატვრული ფილმი ,,ხსოვნა“.

11 მაისს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით პროექტი – ,,ცოცხალი წიგნები“ ხარაგაულს ესტუმრა. გაიმართა შეხვედრა თანამედროვე მწერლებთან და პოეტებთან.

23 ივლისიდან 15 სექტემბრამდე - ხარაგაულის კინოთეატრში კულტურის სამინისტროს პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა საერთაშორისო

ფესტივალებში გამარჯვებული თანამედროვე ქართული ფილმების ჩვენება. ნაჩვენები იქნა 8 ქართული მხატვრული ფილმი.

18 აგვისტოს, ხარაგაულის კინოთეატრში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა საქართველოს სახალხო არტისტ ლეო ანთაძესთან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 წლის იუბილესთან დაკავშირებით. კინოთეატრში გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება ,,აკაკის მოგზაურობა რაჭა- ლეჩხუმში“, აგრეთვე ნაჩვენები იქნა აკაკის ნაწარმოებებზე შექმნილი ფილმები. მოეწყო ექსკურსია აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში აქტიური მკითხველებისათვის, საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება ,,ჩვენი მგოსანი“, მონაწილეობა მივიღეთ საჩხერეში გამართულ ფესტივალში ,,ნათელას სიმღერა“, რომელშიდაც საპრიზო ადგილი და ფულადი პრემია მოიპოვა დუეტმა ხარაგაულიდან. მონაწილეობას ვღებულობთ აკაკის იუბილესადმი მიძღვნილ ქართული საგალობლების ფესტივალში. ნოემბრის თვეში მუნიციპალიტეტის სკოლებისათვის გაიმართება ინტელექტუალური თამაში ,, ვიცნობდეთ აკაკის“.

5 ოქტომბერს, აღინიშნა პედაგოგთა პროფესიული დღე. აღნიშნულ ღონიებაზე მოწვეული იქნა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგები.მათთვის ნაჩვენები იქნა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“(რეჟისორი-ი.ჩხეიძე)

ოქტომბრის ბოლოს, გაიმართება ქ. ქუთაისში ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება- ფესტივალი, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები ,,უბისი“ და ,,ოდილა“ , ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული ანსამბლი ,,კახორი“. აგრთვე ინდივიდუალური შემსრულებლები.

რამდენიმე წელია ჩვენი მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროექტ ,,ეტალონში“, რომლის მონაწილეთა შერჩევა ხდება ჩვენი სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით. წელსაც

ჩატარდა შესარჩევი ტური, სადაც შეირჩა 26 კონკურსანტი. ფინალური შეხვედრა გაიმართება 3 ნოემბერს.

ნოემბრის თვეში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები მონაწილეობას მიიღებენ მხიარულთა და საზრიანთა კონკურსში, რომელიც გაიმართება იმერეთის მასშტაბით. პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტიდან შეირჩევა ერთი საუკეთესო სკოლა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქ. ქუთაისში გამართულ ფინალურ ეტაპზე.

წლის ბოლომდე კიდევ დაგეგმილია რამდენიმე საინტერესო პროექტი. დეკემბრის თვიდან სამზადისი დაიწყება საახალწლო ღონისძიებებისათვის. ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ წლევანდელი წელი გამოირჩეოდა ღონისძიებების სიმრავლით და მრავალფეროვნებით. კულტურისა და სპორტული მიმართულების ორანიზაციებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რისი დასტურიც გახლავთ ის წარმატებები, რომლებსაც ჩვენი შემოქმედებითი ძალები, ინდივიდუალური შემსრულებლები და სპორსტსმენები აღწევენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, ფესტივალებსა და კონკურსებში.